ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თორნიკე შავიშვილი

# XML დოკუმენტის პარალელური საძიებო ინდექსის შექმნა

კომპიუტერული მეცნიერება

ნაშრომი შესრულებულია კომპიუტერული მეცნიერებათა მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ალექსანდრე გამყრელიძე, თსუ სრული პროფესორი

ლევან კასრაძე, თსუ დოქტორანტი

თბილისი 2013

# ანოტაცია

კვლევის ფარგლებში ჩვენ შევეხეთ საძიებო ინდექსს Inverted index - შებრუნებული ინდექსის მაგალითზე. კომპიუტერულ მეცნიერებაში შებრუნებული ინდექსი ცნობილია როგორც მონაცემთა სტრუქტურა, რომელიც აღწერს ტექსტური ტიპის მონაცემების სტრუქტურას. შებრუნებული ინდექსის დანიშნულებაა მოგვცეს საშუალება განვახორციელოთ სწრაფი ძებნა ტექსტში.

წარმოვადგინეთ დანაწილებული სრული საძიებო ინდექსი და შემოვიღეთ დანაწილების ფუნქცია Q(t,N). დანაწილებული ინდექსი ლოკალიზებულია არა ერთ არამედ რამდენიმე განსხვავებულ ადგილას. ამასთანავე იგი ეფექტურად პასუხობს მომხმარებელთა მოთხოვნებს. ინდექსის დანაწილებაში კრიტიკული ადგილი უკავია Q(t,N)-ს, რომელიც უთანადებს t-სიტყვებს შესაბამის პროცესს.

Q(t,N)-ფუნქცია უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე თვისებას: უნდა იყოს დეტერმინისტული, ინექციური და თანაბრად განაწილებული. უკანასკნელი გულისხმობს იმას, რომ N - ცალ პროცესს სიტყვები მაქსიმალურად თანაბარი რაოდენობით უნდა შეუსაბამოს. ეს საჭიროა საუკეთესო საშუალო შედეგის მისაღებად და თავიდან აგვაცილებს კონკრეტული ინდექსების სიტყვებით გადავსებს. ამასთანავე თანაბარი განაწილება იმის გარანტიაა, რომ მიუხედავად მოთხოვნათა რაოდენობისა, პროცესები მაქსიმალურად თანაბრად იქნებიან დაკავებულნი მოთხოვნათა დამუშავებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სიტუაცია როდესაც ერთი პროცესი ამუშავებს მოთხოვნათა ძირითად ნაწილს და დანარჩენი პროცესები პრაქტიკულად უფუნქციოდ შეიძლება დარჩნენ. არათანაბარი განაწილების დროს და დოკუმენტთა დიდ რაოდენობისას ასევე შესაძლებელია წარმოიქმნას მეხსიერების უკმარისობის პრობლემა კონკრეტული პროცესების ფარგლებში.

ჩვენს მიერ წარმატებით იქნა რეალიზებული Q(t,N) = Hash(t) mod N. ფორმით, წარმატებით გაიარა ტესტირება და დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა: სიტყვათა რაოდენობის გადახრა იდეალური შემთხვევიდან უხეში ზედა შეფასებით არ აჭარბებს Ω(N/2)-ს.

პროექტის ფარგლებში კვლევისა და დემონსტრირებისათვის გამოყენებულია გამოთვლითი და სადემონსტრაციო ინსტრუმენტი Mathematica 9. Mathematica - არის პლატფორმა და დაპროგრამიების ენა რომელიც ორიენტირებულია გამოთვლითი და მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტაზე. მას ავითარებს კომპანია Wolfram Research, დააარსებული 1987 წელს Stephen Wolfram -ის მიერ. მან მოგვცა საშუალება თვალნათელი წარმოდგენა შეგვექმნოდა Q(t,N)- ს ქცევაზე და უფრო ზუსტად შეგვეფასებინა იგი.

ინდექსის რეალიზებისას დავეყრდენით Boost.mpi პარალელურ ბიბლიოთეკას. მას ავითარებს Boost. ამ ბიბლიოთეკის გამოყენება ზრდის პროგრამის ეფექტურობას, ამცირებს მის რეალიზაციაზე დახარჯულ დროს და პროექტში ხარვეზების წარმოქმნის შესაძლებლობას გვაციელბს თავიდან. Boost.mpi წარმოადგენს მრავალპროცესიანი აპლიკაციის რელიზების სტანდარტს. იგი უტლიზაციას უკეთბს C++ ობიექტებს და სერიალიზაციის ტექნოლოგიას. სერიალიზაცია ეს არის პროცესი როდესაც პროგრამული ობიექტი გარდაიქმნება იმდაგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს მისი ფაილში დამახსოვრება, ჩაწერა მეხსიერების მასივში, გადაგზავნა ქსელში იმდაგვარი ფორმატით, რომ ადგილზე შესაძლებელი იყოს ობიექტის ზუსტი ასლის რეკონსტრუქცია. ანუ გვაქვს მოქმედებათა რიგი: სერიალიზაცია - გადაგზავნა - დესერიალიზაცია. სერიალიზაცია იძლევა საშუალებას, რომ პროცესებმა ერთმანეთთან „ისაუბრონ“ ობიექტების ენით. არსებობს სერალიზების რამდენიმე სტანდარტი:

1. Sun Microsystems, External Data Representation(XDR) 1987
2. XML - ფორმატი გამოიყენება Ajax web - აპლიკაციების მიერ
3. JSON - რომელიც ასევე გამიყენება კლიენსა დაერვერს შორის ურთიერთობისას
4. YAML - თავის თავში მოიცავს JSON - ს და შედარებით კომპაქტურია. აქვს მომხმარებლის მიერ განსაზღვრული მონაცემთა ტიპების მხარდაჭერა.

ყურადღება გავამახვილეთ xml დოკუმენტის ტიპზე მისი უნივერსალურობისა და ფართოდ გამოყენებადობის გამო. პლატფორმა Ubuntu 12 - ს ფარგლებში და C++ პროგრამირების ენაზე დაყრდნობით შეიქმნა პროექტი.

კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგები იძლევა შესაძლებლობას აიგოს მსხვილი საძიებო ინდექსი. კვლევის გაგრძელების შემთხვევაში პროექტს აქვს პოტენციალი გახდეს გამოყენებადი დანაწილებული ინდექსების რეალიზაციის კუთხით. საძიებო სისტემების მნიშვნელოვანი შემედგენელი ნაწილია ე.წ. რანკირების ფუნქცია. მისი დანიშნულებაა

ინდექსში ნაპოვნი დოკუმენტების შეფასება მომხმარებლის მოთხოვნასთან რეველევანტურობის კუთხით. პროექტის ფარგლებში რეალიზაციას ვუკეთებთ შემფასებელ ფუნქციას Okapi BM25. თვითონ ფუნქციის სახელწოდებაა BM25. Okapi - ეს არის სისტემა, რომელიც რეალიზებული იყო London's City University - ში 1980 -1990იან წლებში. ამ სისტემამ პირველად მოახდინა BM25-ს იმპლემენტაცია.

უფრო დაწვრილებით თუ რომელი პარამეტრი რა შინაარსს ატარებს და რა დანიშნულება აქვს, ნაშრომში ცალკე თავში განვიხილავთ.

# შინაარსი

# შესავალი

ინტერნეტი არის კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ნაყოფი და პირმშო. მის გამოჩენას წინ უძღვოდა გამოთვლითი მეთოდების სრულყოფისა და განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა. რაც მეტად სრულყოფილი ხდებოდა გამოთვლითი მეთოდები და გროვდებოდა ცოდნა, მით მეტად წინ მიიწევდა მეცნიერება და მასში შემავალი დარგები: ფიზიკა ქიმია, მათემატიკა... საბოლოოდ კი მათმა განვითარებამ საფუძველი დაუდო ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს. ინტერნეტი - ეს არის ქსელი. კომპიუტერები ერთიანდებიან ქსელში გარკვეული სახელის ქვეშ და ცვლიან ინფორმაციას გარკვეული წესის - პროტოკოლის მიხედვით. ქსელში არიან „პატარა“ კომპიუტერები - მომხმარებლები, რომლებიც შედიან ინტერნეტში ხსნიან საიტებს ძირითადად დაკავებულნი არიან ინფორმაციის მოძიებით - და სერვერები, სუპერკომპიუტერები რომელთა დანიშნულებაც უმეტესად მომხმარებელთა მომსახურებაა. ჩვენს რეალობაში ინტენეტი - მსოფლიო ქსელი აერთიანებს მილიარდობით მომხმარებელს.

წარმოუდგენლად დიდია მონაცემთა რაოდენობა, რასაც ატარებს ინტენეტი. როგორ გინდა ჩვეულებრივმა მომხმარებელმა მიაგნოს მისთვის სასურველ ინფორმაციას თუ მას არ ექნება სათანადო ინსტრუმენტი? - პასუხი ცალსახაა: ის ამას ვერ მოახერხებს. ინფორმაციის მოძიების პრობლემა ინტერნეტის გამოჩენისთანავე დაისვა, რასაც თავისმხრივ მოჰყვა ვებ - საძიებო სისტემების განვითარება.

მიუხედავად იმისა რომ არსებობს მონაცემთა მრავალი ტიპი, ტექსტური მონაცემები რჩება ინტერნეტში არსებული ინფორმაციის  აღწერისა და წარმოდგენის უნივერსალურ, ყველაზე გავრცელებულ და მოსახერხებელ საშუალებად. თვით ადამიანთა სამეტყველო ენაც წარმოიდგინება ტექსტების საშუალებით.

აქედან გამომდინარე საძიებო სისტემები ფოკუსირებას ახდენენ სწორედ ტექსტურ მონაცმეთა სიმრავლეში ძიებაზე. არაერთი კვლევა მიეძღვნა საძიებო სისტემებს. ტექსტური მონაცემების ძიებისას უმეტესად მიმართავენ ე.წ. საძიებო ინდექსს.

საძიებო ინდექსი (Inverted Index) ინდექსი შეიძლება განხორციელებული იყოს როგორც მონაცემთა ბაზა, ფაილი, განთავსებული იყოს RAM-ში, ნაწილობრივ მყარ დისკზე და ნაწილობრივ ოპერატიულ მეხსიერებაში. მას იყენებენ საძიებო სისტემებში.

პროექტის ფარგლებში რეალიზებულია სრული ინდექსი. ვინაიდან იგი მეტად ფუნქციონალურია ინვერტირებულ ფაილთან შედარებით და იძლევა საშუალებას განხორციელდეს თუნდაც ძიება ფრაზათა მიხედვით.

მოვიყვანოთ ერთერთი ცნობილი მაგალითი:

T[0] = "it is what it is"

T[1] = "what is it"

T[2] = "it is a banana"

უხეშად ვიგულისხმოთ, რომ T[i] განთავსებულია სხვადასხვა ფაილებში. ავაგოთ ინვერტირებული ფაილი:

"a":  {2}

"banana": {2}

"is":  {0, 1, 2}

"it":  {0, 1, 2}

"what":  {0, 1}

ამჯერად იგივე ტექსტზე დაყრდნობით ავაგოთ სრული ინდექსი:

"a":  {(2, 2)}

"banana": {(2, 3)}

"is":  {(0, 1), (0, 4), (1, 1), (2, 1)}

"it":  {(0, 0), (0, 3), (1, 2), (2, 0)}

"what":  {(0, 2), (1, 0)}

მაგალითი გვიჩვენებს, რომ სიტყვა "banana" შეგვხვდა T[2]-ში და იყო რიგით მესამე სიტყვა.

საძიებო ინდექსი წარმოადგენს საძიებო სისტემების ინდექსაციის ალგორითმის ცენტრალურ კომპონენტს. საძიებო სისტემების მიზანია ოპტიმალურ დროში იპოვოს ყველა ის დოკუმენტი, სადაც t სიტყვა გვხვდება. ინდექსის აგება მოითხოვს წინასწარ არსებული დოკუმენტების დამუშავებას. დამუშავების შემდეგ ინდექსი ინახავს თავისთავში დოკუმენტების სიას თითოეულ სიტყვაზე.

ინდექსის შექმნის შემდეგ მოთხოვნის დასამუშავებლად საჭიროა მივაკითხოთ სასურველ სიტყვას.

ინვერტირებულ ინდექსს იყენებენ ასევე ბიომეტრიაში დნმ-ს კვლევისას: მოლეკულის ფრამენტების ძიებისას. მოლეკულა ინდექსის საშუალებით იხლიჩება შემადგენელ ნაწილებად. ადამიანის გენომი შეიცავს დაახლოებით 3 მილიარდ ბაზურ წყვილს და ყველა მისი შემადგენელი ნაწილისთვის საძიებო ინდექსის აგება გეგაბაიტებს საჭიროებს.

საძიებო ინდექსებს აქვთ ერთი თვისება: ისინი მოიხმარენ მეხსიერების დიდ რაოდენობას. მათი მოცულობა საძიებო სივრცის მოცულობის შესადარია და ზოგჯერ აღემატება კიდევაც მას. რა თქმა უნდა პატარა საძიებო სივრცეებში ასეთი სტრუქტურის შემოტანას არ აქვს აზრი. ასეთი სიტუაციებში სრულიად დამაკმაყოფილებელია ძებნის პირდაპირი მეთოდი, როდესაც საძიებო სიტყვა სათითაოდ დარდება საძიებო სივრცის ელემენტებს. თუმცა რეალურ პირობებში ძებნის პირდაპირი მეთოდი გამოუსადეგარია და იძულებულნი ვხდებით მივმართოთ საძიებო ინდექსებს. მეხსიერების დიდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ამ პრობლემის გადასაწყვეტად მიმართავენ ორ მეთოდს: ზრდიან მეხისერებას და ცდილობენ ძებნა განახორციელონ შემჭიდროვებულ ტექსტებზე.

საძიებო ინდექსი უმეტესად იქმნება საძიებო სისტემის გაშვებისას საწყის ეტაპზე offline რეჟიმში. ფუნქციონირებისათვის მას ესაჭიროება სწრაფი მეხსიერება, ამიტომ იგი განთავსებულია RAM-ში. გარდა ამისა კონკრეტული მანქანის ფარგლებში RAM-ის უსასრულოდ გაზრდაც შეუძლებელია. მეხსიერბის შედარებით დიდ მარაგს შეიცავს HDD - მყარი დისკი, თუმცა ინფორმაციაზე წვდომის მნიშვნელოვნად დაბალი სიჩქარე (100-ჯერ და 1000-ჯერ ნელია) ინდექსებისათვის გამოუყენებლს ხდის.

ამ მეხსიერების და ეფექტურეობის გადასაწყვეტად და დიდი საძიებო ინდექსების განსახორციელებლად კარგი იქნებოდა თუ ერთი საძიებო ინდექსი გაიყოფოდა რამდენიმე ნაწილად და გადაუნაწილდებოდა რამდენიმე სხვადასხვა მანქანას - კომპიუტერთა კლასტერს.

კლასტერი წარმოადგენს კომპიუტერთა გაერთიანებას, როდესაც კომპიუტერები მოქმედებენ ერთმანეთთან შეთანხმებით იმდაგვარად, რომ ისინი აღიქმებიან როგორც ერთი გამომთვლელი სისტემა. იდეა მდგომარეობს იმაში, რომ გაერთიანდეს მრავალი იაფფასიანი კომიუტერის გამოთვლითი შესაძლებლობები ერთ სისტემაში. კლასტერში შემავალი კომპიუტერები ერთმანეთს ძირითადად უკავშირდებიან სწრაფი ლოკალური ქსელის მეშვეობით. ყოველ კვანძზე გაშვებულია საკუთარი ოპერატიული სისტემა. კლასტერში შემავალ კვანძებს ხელმძღვანელობს ე.წ. "clustering middleware", პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც განთავსებულია თითოეულ კვანძში და აძლევს მომხმარებელს საშუალებას მიმართოს კლასტერს როგორც ერთ გამომთვლელ მანქანას. ერთერთ პირველ კლასტერულ სისტემას წარმოადგენდა „Stone Soupercomputer“ სისტემა. იგი შედგებოდა 133 კვანძისაგან. დეველოპერები ოპერაციულ სისტემად იყენებდნენ Linux-ს, ხოლო კლასტერიზაციისათვის კი მიმართავდნენ Parallel Virtual Machine და MPI-ბიბლიოთეკას. კლასტერთა გამოყენება იძლევა საშუალებას აიგოს შედარებით იაფი სისტემები, რომლებიც ასრულებენ იგივე რაოდენობის გამოთვლებს რასაც ძვირადღირებული სუპერკომპიუტერები და აჭარბებენ კიდევაც მათ.

კლასტერები ლოკალიზებული არიან უმეტესად „ერთი შენობის“ ფარგლებში. მისგან განსხვავებით „Grid“ - ტიპის გაერთიანებებში კომპიუტერები შედარებით ფართო გეოგრაფიულ არეალში არიან განთავსებულნი. ამასთანავე კვანძებთან მიმართებაში „Grid“ მეტად არაერთგვაროვანია. კვანზებიც მეტად თავისუფლად არიან ჩართულნი სისტემის ფუნქციონირებაში, მაშინ როცა კლასტერი ძირითადად აგებულია ერთგვაროვანი კვანძებისაგან.

კლასტერის გამოყენების შემთხვევაში შემთხვევაში მოიხსნებოდა მეხსიერების პრობლემა. ასევე დღის წესრიგში აღარ იქნებოდა ძვირად ღირებული გამოთვლითი ტექნიკის შეძენა და მომსახურება რაც თავისმხრივ დამატებით სახსრებთანაა დაკავშირებული. ვინაიდან კლასტერი შეიძლება შეიქმნას, ელემენტარული პერსონალური კოპმიუტერსებისაგან, რაც საერთო ჯამში ამცირებს სისტემის ღირებულებას და მისი მომსახურების ხარჯებს.

რაც შეეხება „Cloud computing“-ს, ის უფრო აბსტრაქტული ცნებაა. იგი მიზნად ისახავს არსებული სისტემების დადებითი მხარეებისა და შესაძლებლობების გაერთიანებას იმდაგვარად, რომ მომხმარებელს არ დასწჭირდეს ტექნიკურ დეტალებში გარკვევა და ყურადღება გაამახვილოს დასმულ ამოცანაზე. „Cloud computing“-ს შესაძლებელს ხდის ვირტუალიზაცია - მიდგომა რომელიც ახდენს ფიზიკური ინფრასტრუქტურის აბსტრაქციას და ხდის მას ხელმსაწვდომს პროგრამული ურუნველყოფის სახით.

დანაწევრებული საძიებო ინდექსი გულისხმობს საძიებო ინდექსის დანაწილებას და მის ლოკალიზებას არა ერთ, არამედ რამდენიმე ოპერატულ მეხსიერებაში, ასე ვთქვათ რამდენიმე მანქანაზე. ამასთან ნარჩუნდება ძებნის ეფექტურობა ასეთი ინდექსი იძლევა საშუალებას ამასთან მას აქვს უნარი პარალელურად რამდენიმე მოთხოვნა დაამუშაოს და რელაზიაციის კუთხითაც საკმაოდ იოლია.

პროექტის ფარგლებში ჩვენ ვახდენთ განაწილებული საძიებო ინდექსის რეალიზაციას, რისთვისაც გამოვიყენებთ მათემატიკურ ფუნქციას. რეალიზებულ დანაწილებულ ინდექსს ექნება საშუალება მიიღოს და დაამუშაოს მოთხოვნები. ამის შემდეგ შევეხებით ისეთ საკითხებს როგორიცაა საძიებო სისტემში დოკუმენტის დამატება და წაშლა იმდაგვარად, რომ არ გახდეს საჭირო მთლიანი საძიებო ინდექსის ხელახალი აგება.

## ამოცანის დასმა და ძირითადი იდეები

ჩვენ მოვახდენთ დანაწილებული საძიებო ინდექსის რეალიზებას. იდეა მდგომარეობს შემდეგში: ვთქვათ გვაქვს ტექსტური ფაილები. გადავუნაწილოთ ისინი თანაბრად N-ცალ პროცესს, რომელიც გაშვებულია კლასტერზე. პროცესები დაამუშავებენ ფაილებს პარალელურად, საჭირო ინფორმაციას გაცვლიან ერთმანეთს შორის. პროცესის დასრულებისას ჩვენ მივიღებთ საძიებო სტრუქტურას, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის დანაწილებული. აუცილებელია აირჩეს მათემატიკური ფუნქცია P(t), რომელიც კონკრეტულ term-ს შეუსაბამებს კონკრეტული პროცესის ინდექსს და ამასთან ამ ფუნქციის გამოყენებით სიტყვები დაახლოებით თანაბრად გადაუნაწილდება პროცესებს. ამ ბიჯზე ჩვენ უკვე მივიღებთ დანაწილებულ ინდექსს და პროგრამა მზადაა უპასუხოს მოთხოვნას.

ამ ეტაპზე საძიებო სტრუქტურა ზემოთ ნახსენები ფორმით პრაქტიკულად სრულადაა რეალიზებული boost.mpi პარალელური ბიბლიოთეკის გამოყენებით. Q(t,N) ფუნქციის

როლში აღებული გვაქვს Q(t,N)=Hash(t) mod N  ფუნქცია, სადაც N პროცესების რაოდენობაა. ფუნქცია შეირჩა შემდეგი მოსაზრებით: რადგანაც term-ის Hash არის uniform - თანაბარი განაწილების, ამიტომ Hash(t) mod N უნდა იყოს თითქმის თანაბად განაწილებული. ჩატარებული ტესტები ამ მოსაზრებას ადასტურებს: სიტყვები მიახლოებით თანაბრად უნაწილდება პროცესებს და შედეგი დამაკმაყოფილებელია.

პროგრამა მუშაობს შემდეგნაირად: გაშვებისას ტერმინალიდან მას გადაეცემა პროცესების რაოდენობა და დირექტორია, რომელიც შედგება ფაილებისაგან.

იმისათვის რომ დოკუმენტი ჩაემატოს საძიებო ინდექსში, საჭიროა ჯერ დამუშავდეს სემანტიკურად, რაც გულისხმობს დოკუმენტის სიტყვებად დაშლას და შემდეგ სიტყვები გადაეგზავნოს შესაბამის პროცესებს. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა მთვლელები და სიტყვების რაოდენობა შესაბამისად უნდა გაიზარდოს. დოკუმენტის წაშლისას ვიქცევით იგივენაირად, ოღონდ მთვლელებს და სიტყვების რაოდენობას ვამცირებთ. ამით ჩვენ ვუზრუნველყოფთ ინდექსის დინამიზმს.

ზემოთ ნახსენები მათემატიკური ფუნქციის არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებს ინდექსის გარდაქმნას იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება N-პროცესების რაოდენობა. უბრალოდ საჭიროა, რომ განახლებული N-ის პირობებში ყველა სიტყვისთვის ხელახლა შეუსაბამდეს და გადაეგზავნოს პროცესს. ამით ჩვენ თავიდან ვიცილებთ დოკუმენტების ხელახალი დამუშავების აუცილებლობას.

განვიხილოთ ინდექსის სტრუქტურა უფრო დაწვრილებით და დავყოთ ეტაპებად:

ეტაპი 1 - საძიებო სივრცის დანაწილება




დიაგრამა 1

როგორც დიაგრამიდან ჩანს, დასაწყისში, პირველ ეტაპზე პროგრამა იღებს დოკუმენტთა D სიმრავლეს, რომელზეც უნდა აიგოს საძიებო ინდექსი. დავუშვათ ჯამში გაშვებულია N პროცესი (შემდგომში ვიგულისხმებთ რომ N გაშვებული). 0-ვანი პროცესი, რომელმაც მიიღო D სიმრალვე გაყოფს დაანაწილებს მას (N-1)-ცალ თანაბარ ნაწილად. გაყოფის წესი ელემენტარულია: დავუშვათ $|D| = T$, მაშინ თითოეული ქვესიმრავლის ზომა იქნება $|D_S| = \frac{T}{N-1}$. რაც შეეხება $D_S$ - ქვესიმრავლეთა გადაგზავნას - ყველა პროცესი თავის წილ მონაცემებს იღებენ ერთმანეთის პარალელურად რაც დროის კუთხით მომგებიანია.

ეტაპი 2 - ლოკალური საძიებო ინდექსის აგება




დიაგრამა 2

ამ ეტაპზე D უკვე განაწილებულია პროცესებს შორის. თითოეული პროცესი თავის თავში იწყებს ლოკალური საძიებო ინდექსის შექმნას: დაამუშავებს თავის წილ დოკუმენტებს და შექმნის შემდეგი სტრუქტურის მქონე სიას: [term,[doc,[indexes],count]] (აქ [] აღნიშნავს მასივს) რომელიც გვიჩვენებს თუ რომელი term-სიტყვა რომელ დოკუმენტში, რა პოზიციებზე შეგვხვდა და რამდენჯერ. ასევე შესაძლებელია თითოეული დოკუმენტისათვის დაითვალოს ზომა სიტყვებში. $p_i$ პროცესი ყველი term – ს შეუსაბამებს $p_j$-ურ პროცესს, სადაც j = Q(t,N) და გადაუგზავნის მას ინდექსის შესაბამის ნაწილს.

ეტაპი 3 - მზადყოფნა მოთხოვნათა დასამუშავებლად

ამ ეტაპზე $p_j$ პროცესს მიღებული აქვს მისი შესაბამისი term-ები დანარჩენი პროცესებისაგან. $p_j$ უბრალოდ ამოწმებს თუ ერთიდაიგივე term-ი მიიღო რამდენიმე

პროცესიდან, მაშინ მათ გააერთიანებს. გაერთიანება გულისხმობს term-ის შესაბამისი მონაცემების ერთმანეთზე მიბმას. ბოლოს მიღებულ სიტყვებს იგი მოაქცევს სიაში, რის შემდეგაც $p_j$-ს ექნება დანაწილებული ძებნის ინდექსის საკუთარი პორცია და აცხადებს მზადყოფნას დაამუშაოს მოთხოვნები. მოთხოვნათა დამუშავება გულისხმობს შემდეგს: ის მიიღებს term-ს და დააბრუნებს მის შესაბამის მონაცემს: [ term , [ doc, [ indexes ], count ]] -ს.

ქვედა დიაგრამაზე გრაფიკულად წარმოდგენილია თუ როგორ ემსახურება პროგრამა ერთსიტყვიან მოთხოვნებს:




მოთხოვნის დამუშვების დიაგრამა 1

ძებნის მოცემული გზით განხორციელებას აქვს რამდენიმე უპირატსობა: ჯერ ერთი შესაძლებელი ხდება რამდენიმე მოთხოვნა დამუშავდეს პარალელურად. ამასთან თითოეული სიტყვის ძებნა მიმდინარეობს არა მთლიან ინდექსში, ზომით $|D|$, არამედ მის კონკრეტულ ქვესიმრავლეში $|D_S| = \frac{|D|}{N-1}$, რაც ამცირებს ძებნის სივრცეს და შესაბამისად ზრდის სისტემის ეფექტურობას.

ამ ეტაპების გავლის შემდეგ ინდექსი მიიღებს შემდეგ სახეს




დიაგრამა 3

როგორც ვხედავთ 0-ოვანი პროცესი არ იღებს ძებნაში მონაწილეობას. მისი დანიშნულება არის მოთხოვნათა განაწილება დანარჩენ პროცესებს შორის.

Q(t,N) დანაწილების ფუნქცია

ჩვენ ვნახეთ, რომ საძიებო ინდექსის განაწილება Q(t,N) ფუნქციას. მისი დანიშნულებაა t – term-ი ცალსახად შეუსაბამოს ერთ კონკრეტულ პროცესს. პროცესები არის გადანორმრილი და მათ რაოდენობა წინასწარ ცნობილია, ასევე ცნობილია სიტყვებიც. Q(t,N)-ი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1. უნდა იყოს დეტერმინისტული
2. უნდა იყოს ინექციური
3. მარტივად გამოთვლადი
4. მოცემულ სიტყვათა სიმრავლეზე მან სიმრალვე მასიმალურად თანაბარ (N-1)-ცალ ნაწილად უნდა გაყოს

ვინაიდან ჩვენი მიზანია ფუნქცია იყოს თანაბრად განაწილებული, მოვიქცეთ შემდეგნაირად: დავთვალოთ term-ის hash-ი, ამის შემდეგ კი მიღებულ რიცხვს დავითვლით mod N.

განვიხილოთ ფუნქცია Q(t,N)=Hash(t) mod N იგი აკმაყოფილებს ჩვენს მიერ წამოყენებულ პირობებს: არის დეტერმინისტული, არის ინექციური და მარტივად გამოთვლადი. რაც შეეხება იგი დამაკმაყოფილებლად პასუხობს მეოთხე პირობას, რის დემონსტრირებასაც მოვახდენთ Mathematica 9 - საშუალებით.

გრაფიკულად წარმოვადგენთ ფუნქციის მუშაობის შედეგებს სიტყვათა კონკრეტულ სიმრავლზე. როგორც დიაგრამებიდან ჩანს სიტყვათა რაოდენობა პროცესებს შორის მიახლოებით ერთნაირია. ტესტირებებმა აჩვენა, რომ Q(t,N)-ს მოცემული წესით იმპლემენაციისას სიტყვათა რაოდენობა იდეალური შემთხვევისაგან განსხვავდება არაუმეტეს Ω(N/2)-ით. პროექტის ფარგლებში ფუნქციამ წარმატებით გაიარა ტესტირება და დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენა:




დიაგრამა Q(t,N) 1




დიაგრამა Q(t,N) 2




დიაგრამა Q(t,N) 3




დიაგრამა Q(t,N) 4

Okapi BM25 შემფასებელი ფუნქცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ საძიებო სისტემის მნიშვნელობანი შემედგენელი ნაწილია ე.წ. რანგირების ფუნქცია. მისი დანიშნულებაა ინდექსში ნაპოვნი დოკუმენტების შეფასება მომხმარებლის მოთხოვნასთან რეველევანტურობის კუთხით. პროექტის ფარგლებში რეალიზაციას ვუკეთებთ შემფასებელ ფუნქციას Okapi BM25. თვითონ ფუნქციის სახელწოდებაა BM25. Okapi - ეს არის სისტემა, რომელიც რეალიზებული იყო London's City University - ში 1980 -1990იან წლებში. ამ სისტემამ პირველად მოახდინა BM25-ს იმპლემენტაცია.

სისტემაში Okapi BM25-ს რეალიზიაცია მოხდა შემდეგი ფორმით, ვთქვათ მოცემულია მოთხოვნა Q = $q_1, q_2, \ldots q_n$ ,სადაც D დოკუმენტის BM25 შეფასება დაითვლება შემდეგნაირად:

$$\text{score}(D,Q) = \sum_{i=1}^{n} \text{IDF}(q_i) \cdot \frac{f(q_i,D) \cdot (k_1+1)}{f(q_i,D) + k_1 \cdot (1 - b + b \cdot \frac{|D|}{\text{avgdl}})},$$

$$\text{IDF}(q_i) = \log \frac{N - n(q_i) + 0.5}{n(q_i) + 0.5},$$

სადაც $f(q_i, D)$-არის $q_i$-ის სიხშირე D დოკუმენში, $|D|$ - დოკუმენტის ზომა სიტყვებში, $avgdl$-საძიებო სივრცეში დოკუმენტის საშუალო ზომა სიტყვებში, $k_1 \in [1.2, 2.0]$ და b=0.75 თავისუფალი პარამეტრებია რომლებსაც ცვლიან შეფასებების ოპტიმიზაციისათვის. N-დოკუმენტთა რაოდენობა, ხოლო $n(q_i)$-დოკუმენტების რაოდენობა, რომლებიც შეიცავენ $q_i$-ს. ამ ფუნქციის გათვალისწინებით ზემოთ მოყვანილი დიაგრამები გამოიყურებიან შემდეგნაირად:




შეფასებები იძლევა საშუალებას მოხდეს შედეგების მარტივი სორტირება და შემდეგ წარდგენა მომხმარებლისადმი.

## პროგრამის განხორციელება

N-ცალი პროცესის გაშვების შემდეგ პროგრამა 0-ოვან პროცესში იღებს დოკუმენტების მისამართს. შემდეგი ფუნქცია დირექტორიიდან რეკურსიულად ამოკრეფს ყველა xml ფაილის სრულ სახელს:

```
void parseDirectory(string dir, vector<string> &result){
      string f_ext(".xml");
      const path startDirectory(dir);
    // First check if the start path exists
    if (!exists(startDirectory) || !is_directory(startDirectory)){ return;
}

    recursive_directory_iterator it(startDirectory); // Directory iterator
at the start of the directory
    recursive_directory_iterator end;                // Directory iterator
by default at the end

    // Iterate all entries in the directory and sub directories
    while (it!=end)
    {
         if (!is_directory(it->status())){
```

```
            if(f_ext.compare(it->path().extension().string())==0){
                  result.push_back(it->path().string());
            }
         }

         // When a symbolic link, don't iterate it. Can cause infinite
loop.
         if (is_symlink(it->status())) it.no_push();

         // Next directory entry
         it++;
    }
}
```

მიღებული შედეგი იყოფა N-1 თანაბარ ნაწილად:

```
void splitVector(vector<string> &files, int n, vector<vector<string>>
&subvectors){
      int max_size;
      int part_size;
      if (files.size() <= n) {
            part_size = 1;
            max_size = files.size();
      } else {
            part_size = files.size() / n;
            max_size = n;
      }
      for(int i=0; i<max_size; i++){//cout<<"t "<<max_size<<"
"<<part_size<<endl;
            vector<string> item(
                        files.begin()+i*part_size,
files.begin()+(i+1)*part_size
                        );
            subvectors.push_back(item);
      }
      if(files.size()%n !=0 && files.size() > n){
            vector<string>
item(files.rbegin(),files.rbegin()+files.size()%n);
            (subvectors.end()-1)->insert((subvectors.end()-1)-
>end(),item.begin(),item.end());
      }
      subvectors.resize(n);
}
```

ამის შემდეგ Boost.mpi ბიბლიოთეკის გამოყენებით ნაწილები გადაიგზავნება პროცესებში:

`world.isend(i + 1, 1, subvectors.at(i));` სადაც `i` - პროცესის ინდექსია. პრცესები მიიღებენ თავის წილ დირექტორიას და დამუშავებენ ფაილებს, რის შედეგედაც აიგება ლოკალური საძიებო ინდექსი.

ფაილებს ამუშავებს შემდეგი ფუნქციათა ჯგუფი:

```
void parseFile(string file, map<string,int> &file_dict, int &size_in_words){
	pugi::xml_document doc;
	pugi::xml_parse_result result = doc.load_file(file.c_str());
	if (result.status == pugi::xml_parse_status::status_ok) {
		auto root = doc.document_element();
		recursiveInsert(root,file_dict);
		size_in_words=0;
		for(auto &item:file_dict){
			size_in_words+=item.second;
		}
	}else{
		size_in_words=-1;
		file_dict.clear();
	}

}

void recursiveInsert(pugi::xml_node &root,
		map<string, int> &file_dict){
	string root_name = root.name();
	string root_value = root.value();
	insertWord(root_name,file_dict);
	insertWord(root_value,file_dict);

	auto children = root.children();
	for (auto &node : children) {
		recursiveInsert(node,file_dict);
	}
}

void insertWord(string &word, map<string,int> &map){
	stringstream trimmer;
	if (!word.empty()) {
		trimmer << word;
		word.clear();
	}
	while(trimmer >> word){
		if (!word.empty()) {
				map[word]+=1;
		}
	}
	}
```

ლოკალური ინდექსში ყოველი სიტყვა უსაბამდება პროცესს შემდეგი ფუნქციის გამოყენებით:

```
int correspondsToProcess(string word, int total_proc_count){
       boost::hash<string> string_hash;
     int proc = ((unsigned)string_hash(word))%(total_proc_count-1)+1;
     return proc;
}
```

შედეგზე ერთის მიმატება საჭიროა იმისათვის პროცესის ინდექსი დაიწყოს არა 0-იდან, არამედ 1-დან.

თითოეული სიტყვის შესაბამისი მონაცემები გადაეგზავნება შესაბამის პროცესს `world.isend(i, 2, word_list);` ფუნქციის საშუალებით, რის შემდეგაც პროგრამა აცადებს მზადყოფნას ერთსიტყვიანი მოთხოვნების დამუშავებაზე: 0-ოვანი პროცესი მიიღებს სიტყვას, შეუსაბამებს მას პროცესს და გადაუგზავნის. საკუთრივ პროცესი მიიღებს სიტყვას და ლოკალურ ინდექსიდან დააბრუნებს სიტყვის შესაბამის სიას - ან ცარიელ სიას იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა არ მოიძებნა

როგორც ვთქვით, პროგრამა თითოეული დოკუმენტისათვის ითვლის Okapi BM25 ქულას. მისი ერთერთი პარამეტრია დოკუმენტთა საშუალო ზომა სიტყვებში. ვინაიდან ინდექსი დანაწილაბულია, ყველა „ქვეინდექსი“ ითვლის სიტყვათა ჯამს დოკუმენტევისათვის. ამის შემდეგ ჩვენ ვიყენებთ ფუნქციას `reduce(world, local_avgdl, avgdl, summarize<float>(), 0);` ეს ფუნქცია პარამეტრად ფუნქციის ობიექტს - `summarize<float>()`. ფუნქციის ობიექტი ნიშნავს თუ რა ოპერაცია უნდა განახორციელოს მან პარამეტრად გადაცემულ ცვლადზე. შემდეგ ცვლადები, რომელზზეს ამ ოპერაციას ვასრლებთ, ცვლადი, რომელშიც უნდა დააბრუნოს შედეგი და პროცესის ინდექსი სადაც აბრუნებს შედეგს. მისი გამოყენებით მისი გამოყენებით ჩვენ ავჯამავთ ცვლადებს თითოეული პროცესიდან და 0-ოვან პროცესში დავითვლით დოკუმენტთა საშუალო ზომას.

# დასკვნა

მოცემულ ნაშრომში ჩვენ მიმოვიხილეთ საძიებო ინდექსები. შევეხეთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გამოყენებული მეხსიერება, დინამიზმი. შემოვიტანეთ საძიებო ინდექსის დანაწილების მეთოდი პროცესებს შორის მათემატიკური ფუნქციის გამოყენებით და ასევე შევძელით აგვეგო დანაწილებული საძიებო ინდექსის მუშა მაგალითი. რეალიზება გავუკეთეთ დოკუმენტის შემფასებელ ფუნქციას. გავეცანით სერალიზაციის ტექნოლოგიას და გამოვიყენეთ იგი პროცესებს შორის ობიექტების ენაზე „სასაუბროდ“. გავეცანით და წარმატებით გამოვიყენეთ პლატფორმა Mathematica ფუნქციათა მუშობის გრაფიკულად წარმოდგენისათვის.

სერიალიზაცია გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ერთ პროცესს სურს გარკვეული მონაცემები გადაუგზავნოს სხვა პროცესს, ეს იქნება ძებნის შედეგი, დანაწილებული ინდექსის ნაწილი მისი აგებისას, დანაწილებული დოკუმენტთა სივრცე და ა.შ.

საძიებო ინდექსის მნიშვნელობა და როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება დროის სვლასთან ერთად, თუ ადამიანთა ცივილიზაციამ განვითარების არსებული ვექტორი შეინარჩუნა. შესაბამისად საჭიროა გადაიჭრას ნაწილობრივ ღიად არსებული საკითხები, რომელთა შორისაა მოხმარებული მეხსიერება და ინდექსის განახლება.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. ვიკიპედია, Okapi_BM25: http://en.wikipedia.org/wiki/Okapi_BM25
2. ვიკიპედია, Inverted_index: http://en.wikipedia.org/wiki/Inverted_index
3. Boost ბიბლიოთეკა: http://www.boost.org/doc/libs/1_49_0/doc/html/mpi/tutorial.html
4. Boost.MPI ბიბლიოთეკა: http://www.boost.org/doc/libs/1_39_0/doc/html/mpi.html
5. Open.MPI ბიბლიოთეკა: http://www.open-mpi.org/doc/
6. Mpich ბიბლიოთეკა: http://www.mpich.org/documentation/guides/
7. Inverted Files for Text Search Engines: JUSTIN ZOBEL-RMIT University, Australia ALISTAIR MOFFAT-The University of Melbourne, Australia
8. Compressed Full-Text Indexes: Gonzallo Navaro, University of chile, Veli Makinen, University of Helsinki

დანართი

# Okapi BM25

From Wikipedia, the free encyclopedia

In information retrieval, **Okapi BM25** is a ranking function used by search engines to rank matching documents according to their relevance to a given search query. It is based on the probabilistic retrieval framework developed in the 1970s and 1980s by Stephen E. Robertson, Karen Spärck Jones, and others.

The name of the actual ranking function is BM25. To set the right context, however, it usually referred to as "Okapi BM25", since the Okapi information retrieval system, implemented at London's City University in the 1980s and 1990s, was the first system to implement this function.

BM25, and its newer variants, e.g. BM25F (a version of BM25 that can take document structure and anchor text into account), represent state-of-the-art TF-IDF-like retrieval functions used in document retrieval, such as Web search.

## The ranking function

BM25 is a bag-of-words retrieval function that ranks a set of documents based on the query terms appearing in each document, regardless of the inter-relationship between the query terms within a document (e.g., their relative proximity). It is not a single function, but actually a whole family of scoring functions, with slightly different components and parameters. One of the most prominent instantiations of the function is as follows.

Given a query $Q$, containing keywords $q_1, \cdots, q_n$, the BM25 score of a document $D$ is:

$$\text{score}(D,Q) = \sum_{i=1}^{n} \text{IDF}(q_i) \cdot \frac{f(q_i, D) \cdot (k_1 + 1)}{f(q_i, D) + k_1 \cdot (1 - b + b \cdot \frac{|D|}{\text{avgdl}})},$$

where $f(q_i, D)$ is $q_i$'s term frequency in the document $D$, $|D|$ is the length of the document $D$ in words, and $avgdl$ is the average document length in the text collection from which documents are drawn. $k_1$ and $b$ are free parameters, usually chosen, in absence of an advanced optimization, as $k_1 \in [1.2, 2.0]$ and $b = 0.75$ $\text{IDF}(q_i)$ is the IDF (inverse document frequency) weight of the query term $q_i$. It is usually computed as:

$$\text{IDF}(q_i) = \log \frac{N - n(q_i) + 0.5}{n(q_i) + 0.5},$$

where $N$ is the total number of documents in the collection, and $n(q_i)$ is the number of documents containing $q_i$.

There are several interpretations for IDF and slight variations on its formula. In the original BM25 derivation, the IDF component is derived from the Binary Independence Model.

Please note that the above formula for IDF shows potentially major drawbacks when using it for terms appearing in more than half of the corpus documents. These terms' IDF is negative, so for any two almost-identical documents, one which contains the term and one which does not contain it, the latter will possibly get a larger score. This means that terms appearing in more than half of the corpus will provide negative contributions to the final document score. This is often an undesirable behavior, so many real-world applications would deal with this IDF formula in a different way:

- Each summand can be given a floor of 0, to trim out common terms;
- The IDF function can be given a floor of a constant $\epsilon$, to avoid common terms being ignored at all;
